ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N69

დაბა სტეფანწმინდა 16.09.2016 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის გივი ქირიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი გრიგოლ ყაჩლავაშვილი (შემდგომში მიმწოდებელი) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა თვე.
1.4. "შემსყიდველი" -ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს მცხეთა-მთიანეთის (დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ქალაქ მცხეთის, ახალგორის) მუნიციპალიტეტების გამგეობა-საკრებულოს გუნდებს შორის მინი ფეხბურთის ტურნირის ორგანიზება.
2.2 CPV 92622000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 282 (ორას ოთხმოცდაორი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს .

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1. მომსახურების გაწევის ვადებია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.2. მომსახურების გაწევის ადგილია: თიანეთის მუნიციპალიტეტი

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა დამიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლო სანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგადიზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულებისღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველიძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარესნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ
11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ანდა დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა
მის: დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.N1	მის: ქ.მცხეთა. დ. აღმაშენებლის N73
ს/კ 241499473	ს/კ 436 036 399
	სატრანზიტო კოდი: 746567019 (GEL)

ხელმოწერა-

ხელმოწერა-